| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


შინაარსი: ტფილისი, 25 ივნისი.—ახალი ამბავი.—დაბა და სოფელი: ლანჩხის საზოგადოება.—ნარკვევი.—რუსეთი.—უცხოეთი. — გასართობი. —დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: ცხრა-წყენა, დ. მაჩხანელისა.

ტფილისი, 25 ივნისი

თავისუფლება იგი ყოფა-მდგომარეობაა ადამიანისაო, ამბობს ბოსსუეტი თავის მსოფლიო ისტორიაში, სადაც ყოველი ემორჩილება მარტო კანონსა და სადაც კანონი უძლიერესია ყოველ ცალკე კაცზედაო; ასეთის თვალით უყურებდა თავისუფლებას ძველი რომაელი და ძველი ბერძენიო. ეს ჭეშმარიტი და ზედ-მიწევნილი მნიშვნელობა თავისუფლებისა ეხლაც ცნობილია და აღიარებული ეხლანდელ მეცნიერთა და სახელმწიფოთაგან. ჭეშმარიტი, რიგიანი აგებულება და წყობილება კაცთა საზოგადოებისა სწორედ ამ ქვა-კუთხედზედ უნდა იყოს ამოყვანილი. სადაც ეგ არ არის, იქ კაცთა საზოგადოებური ცხოვრება, რომელიც ერთმანეთზედ დაუმოკიდებელად და გადუბმელად შეუძლებელია, მარტო ძალ-მომრეობაა, ერთმანეთის თელვაა, ერთმანეთის ჩაგვრა და ძარცვა-გლეჯა. მაშინ ყოფა ადამიანისა ნადირთ-ყოფაა და ადამიანი,—ეგ კერძო ღვთისა, ნადირად გადაქცეულია, იმიტომ-რომ თვითეულის სვე-ბედი თვითეულის ფარ-ხმლით საგერი და სატევია და არა საერთო მფარველობისა და შემწეობისაგან ნათავდებები და დაკუთვნებული. ამ ყოფით ცხოვრება ცნობიერს და ჭკვათა-მყოფელს სულიერს არ შეუძლიან და თვით იმ კრებულს ჭკვათა-მყოფელ სულიერთა, რომელსაც ჩვენ კაცთა საზოგადოებას ვეძახით, მიზეზი არსებობისა და ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება და უბათილდება.

ხოლო კაცმა რომ იმისთანა პატივ-საცემი და მართალი, ადამიანისათვის თავ-მოსაწონი თავისუფლება იქონიოს, როგორსაც ბოსსუეტი ამბობს, საკმაო არ არის,— მარტო არსებობა კანონებისა. კანონი რჯულია ცხოვრებისა და ამიტომაც იგი სამართლისაგან ამოწვდილი ხმალიც არის ურჩთათვის და ფარიც არის საგერად და სახსნელად ჩაგრულთათვის. თუ ხმლობაში კანონს უსამართლოდ ჰხმარობს ვინმე, მაშინ ფარობამ კანონისამ თავი უნდა იჩინოს საგერად. კანონი მაშინ არის კაცთათვის მადლის მიმნიჭებელი, როცა ამ ორნაირს უწმინდაესს მნიშვნელობას მისას ჰპატრონობს თვითონ საზოგადოება, თვითვეული წევრი, თვითვეული კაცი. როცა კანონის სახელით მისევა თუ მოგერება ჰბღალავს, ჰქლახავს გრძნობას მართლიერებისას, მაშინ მე ვიჩაგრები მისაგან, თუ სხვა,—მაინც მოვალე ვარ თავი გამოვიდო, კანონის სახელი ძირს არ დავცე და არ გავაქელვინო, იმიტომ-რომ კანონი ყველასი ფარ-ხმალია და, მაშასადამე, ჩემიცა. აქ სიდიდე საქმისა არასფერს შუაშია. შეიძლება საქმე ჩალის ფასადაც არა ჰღირდეს, მაგრამ გალახული, გაუპატიურებული გრძნობა სიმართლისა-კი მაინც ალაპარაკდეს და კანონს გამოესარჩლოს. ეს მარტო მაშინ არის შესაძლებელი, როცა გრძნობა სიმართლისა—ეგ ერთად-ერთი თავდები კაცთა-საზოგადოების ბედნიერებისა— ყველას გაღვიძებული აქვს და ყარაულად უდგა თვით კანონსა.

სწორედ ესეც არის ყველგან, სადაც-კი ერი ამ მხრით საზოგადოებურ ცხოვრებაში წარმატებულია. აი თუნდა ამისი მაგალითი, რომელიც ჩვენებურს კაცს იქნება სასაცილოდაც არ ეყოს და რომელსაც-კი, ჩვენის აზრით, დიდ-ძალი მნიშვნელობა აქვს, იმოდენად დიდ-ძალი, რომ უამისოდ ყოველივე კანონი, რაც უნდა კარგი იყოს, უქმი თამასუქია. ბრესლავში (პრუსიის ქალაქია) ერთი მდიდარი სოვდაგარია თურმე. ამას ეხლახან ჯვარი დაუწერია, პატარძალი შინ მიუყვანია და პოლიციისათვის-კი არ შეუტყობინებია, რომ სახლში ახალი ადამიანი დაუბინავებია. პრუსიის კანონებით-კი ყოველი პატრონი სახლისა მოვალეა აცნობოს პოლიციას სამის დღის განმავლობაში, თუ ვინმე უცხო კაცი თავის სახლში დააბინავა. პოლიციამ ამ კანონის დარღვევისათვის მანათზედ ცოტა მეტი ჯარიმა დააწერა სოვდაგარსა. სოვდაგარმა ჯარიმის გადახდევინება ამ შემთხვევაში უსამართლობად იცნა და პოლიციას სამართალში უჩივლა. სასამართლოში სოვდაგარი ამტკიცებდა, რომ პოლიციას ამ შემთხვევაში ხელი არა ჰქონდა ჯარიმა გადაეხდევინებინა ჩემთვისაო, იმიტომ-რომ კანონში მოხსენებულია, რომ თუ უცხო კაცი დავაბინავე ჩემს სახლში და პოლიციას არ შევატყობინე, მაშინ უნდა გადამხდეს ჯარიმაო; ცოლი-კი, არც კანონით და არც სამღვთო-წერილის ძალით, უცხო კაცად არ ჩაითვლება ქმრისათვისაო. არც სასამართლომ, არც სასამართლოს პალატმა არ შეიწყნარა სოვდაგარის საბუთი და ზემოხსენებული ჯარიმა, სულ ერთი მანათი და ერთი შაური — მკავრად განუჩინა. სოვდაგარმა მაინც თავისი არ დაიშალა და გადიტანა საჩივარი დიდს სახელმწიფო სამართალში, რომელსაც რეიჰსგერიხტი ჰქვიან.

სასაცილოა განა, მკითხველო, ასეთი დავიდარაბა ერთის მანათის გულისათვის, მერე ვისგან? მდიდარის სოვდაგრისაგან. ჩვენებური კაცი მაშინვე ამოიღებდა ქისიდამ ერთს მანათს და დაამწყრალებდა პოლიციას. მაგრამ აქ საქმე განა მარტო ერთს მანათზეა! რა არის ერთი მანათი მდიდარის სოვდაგრისათვის? ხელის ჭუჭყია, მტვერია და სხვა არაფერი. მაგრამ აბა ახლა შიგ ჩაიხედეთ ამ საქმეში, გუნება და ბუნება გაუგეთ, — მაშინ სიცილის მაგიერ გრძნობა პატივის-ცემისა მიგახედებთ ამ სოვდაგარზედ. ცხადია, მდიდარს სოვდაგარს ის-კი არ ანაღვლებს, რომ ერთი მანათი ერთმევა, არამედ ის, რომ, მისის აზრით, კანონი და სამართალი ირღვევა და კანონი და სამართალი კიდევ მისის თავისუფლების ციხე-სიმაგრეა და ეს ციხე-სიმაგრე იმოდენად ძვირფასია, რომ განურჩევლად, განუკითხველად ხელს არავის ახლებინებს. აი ნამდვილი, ჭეშმარიტი მოქალაქობრივი თავგამოდება, აი ჭეშმარიტი ქველობა კაცთა საზოგადოების წევრისა. ამოდენა დავიდარაბაში, სამს სამართალში საქმის გატარებაში ერთი მანათი-კი არა, იქნება ასი მანათიც დაეხარჯოს, მაგრამ იგი, რისათვისაც იღვწის, მისთვის ყოველს ქონებაზედ უფრო ძვირფასია. კაცმა, მისის აზრით, უსამართლოდ ამოაწვდინა მასზედ კანონის ხმალი და იგი იმავ კანონსა თავის კაცურის გა-

# ფელეტონი

## ცხრა-წყენა

ნეტა იცოდეთ, ჩემო ბიძია, რა რიგ გეიხარიან, რომ იწერებით: „გაზაფხულზე მოვალ და მთელი კახეთიუნდა შემოვიაროო, ე. ი. ენახო და თვალით შევისწავლო რაც-კი რამ დაგვრჩომია ჩვენის მამა-პაპიდამ ძველი და ახალიო“. ჯერ ერთი ჩვენის დიდებულ თამარ-მეფის ციხის ნახვა რადა ღირს! ეს ციხე თვალ-შეუწვდომელ ჭუეთის მთაზეა გადმოჭიმული და ამაყად გაჰყურებს მუდმივ თოვლის ზოლებით მოქარგულ დაღისტნის მთებს, თითქო რაღაცას ემუქრებაო.

დაჰლახვრა ღმერთმა! აი ხომ რამდენჯერა ვყოფილვარ ი ჭუეთის მთაზე, მაგრამ მაინც ვერა ვძღები იმის სიყვარულით; ეხლაც-კი იმის დასახელებაზე იგრე მიფართხალებს, იქ ნანახის სიამოვნების მოგონებით, გული, რომ ბუდეში ველარ დამიყენებია... ცრემლები კიდევ ხომ არა მკითხე მიამბესავით ყველგან ეჩრებიან.

ჰა, ჰა, ჰა! და მართლაც ჰა, ჰა, ჰა! რა სამოთხის სურათები გადაიშლებიან ხოლმე თვალ-წინ, როდესაც გაზაფხულის დილა-სისხამზე გადმოჰდგები ამ ცის კამარამდის მიბჯენილ ჭუეთის ციცაბ მთაზე და გაჰყურებ სანატრელად გალაჟვარდისფერებულ დაღისტნის მთებს, საიდამაც მინაზებულის მედიდურობით და ზლოზნით ამოდის მზე, რომლის ცხოველ-მყოფელი ოქროს სხივები საამურად აალაპარაკებს ხოლმე მწვანედ გახავერდებულ მინდორ-ველს და ნეტარების სიცოცხლით აახლებს ყველა სულდგმულის გულსა და სულს. იქიდამვე ვუცქერი შორს გადაჭიმულს მწვანე ხავსივით მინდვრებს, სადაც გულ-ჩათხრობილი და ვერცხლივით ჩასირმებული ალაზანი გველივით მიიხლაკნება, რომელსაც მარცხნივ ქალა-ბუჩქნარიანი უშრიალებს და მარჯნივ მინდორ-ყვავილოვანი უბიბინებს წყნარად და ნეტარად, თითქოს კეკლუცი დედა თავის ვარდის კონას ნანინას უმღერისო.

თავს არწივები დაგტრიალებენ, გეგონება ასატაცებლად გეტანებიანო. ფრინველების გალობა, ჟივილ-ხივილი და ბუჩქების შრიალი განუწყვეტელია. მწყემსის სალამურის საამური ხმა სანატრელად გაჰკივის სამოთხის მთა-ველებში ჩახატულს ქვეყანასა, ხან სწყნარდება, მდუმარებს, ტრედივითა ღუღუნებს, ხან ჰკვნესის, იტანჯება, ქვითინებს, გულს იკლავს, ხან შფოთავს, რისხდება და ისევ სასოწარკვეთილების ცრემლებს ეძლევა. ოჰ, ღმერთო! ვინ იცის რას შესტირის ღვთის სოფელს: ხმა ცრემლ-სადენი, ხმა საამური!..

ველის ყვავილებით გასურნელებული ნელი ნიავი გულის საყვარელივით ყელს გეხვევა, გატკბობს, ზეციურის სამოთხის ნეტარებას გაგრძნობინებს და საამურად არყევს, აღელვებს, აელფერებს და ალმაზ-ფერადფერადებს ხან მწვანით მოსილ მინდორ-ველს და ხან გოხნარებზე მობიბინებულს ედემ-ნერგის ყვავილებს. აგერ ძირს სალა კლდიდამ ლურჯი ანკარა წყარო გიჟ-მაჟურის შუილ-ქუხილით გადმოჩქაფჩქაფებს და შეუპოვრად ეჯანხალავება ტინის ბურჯებს, სადაც ცრუ-პენტელა ბაღლებივით ამოზუნზულან ფრინველები და ძიძგილაობენ უდარდელად.

აგერა გაღმით ტყის ველობანზე ხარ-ირემი გამოსულა და გარინდებულივით აცეცებს თვალებს აქედ-იქით, სადაც დილის ნამებით დამარგალიტებულს მდელოში კურდღლის ბაჭიები თრთიან, კანკალებენ, დაცუცუნებენ, ინაბებიან. აანგერა კიდევ ყაჩაღის შარა გზაზე ურმები დამწკრივებულან და მეურმეების ნაღვლიანი „ჰარალო-ჰარიალალე“ წკრიალა ზარივით გაისმის დაკამკამებულს ცაში. იქვე გზის ნაპირების მწვანე ხასხასა მინდორზე ხბოები მხიარულად დაკუნტრუშობენ და ბატკნები დანიჟებით ბღავიან ძუძუსათვინ: მოდი, ჰა, რა იქენ მოგვწყურდაო. ქერები აშფოთებულ ზღვასავით ღელავენ, მიწის ზედა-პირს გულზე ეკონებიან, ნიავ-ქარისაგან ანათრთოლნი, რომელთაც ოქროს ფერი შეჰპარვიათ და ზურმუხტის ფერის ყანებისაგან ირჩევიან.

იქვე იმ ტრიალ მინდვრის გაჰალყულ შარა გზაზე ისე დაწალიკებულან აქლემის ქარვნები, რომ თავი ყარაღაჩის წყალთანა აქვთ და ბოლო შირაქის ყვავილოვანის ველების კალთებთან. მექარავან-თათრების შიქასტა ცასა სწვდება და მის უფსკრულში ინთქება. ჩვენი დევ-გმირი მაჩხანელებიც ბუზების ოდნად მოჩანან, კალოებსა სთოხნიან და საძნე-ურმებს ამზადებენ, და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით,

ეს არის მიწა საყვარელი გარსკვლავთ და მზისა,
ზურმუხტ მდელოთა, ფურჩქვნილთ ყვავილთ და ნათლის ცისა [1]).

შენ-კი სდგეხარ, სდგეხარ იმ ჭუეთის თვალ-შეუწვდომელ ტინის მთაზე ნეტარებით დამთვრალი და ჰფიქრობ: ესეც შენი სამოთხე! იხარე გულო, ამაღლდი სულო, მინამ ნაღველი ფრთებს შეგაკვეცავს.

ბიძაჩემო, დიდი ხანია რაც ერთი ანგელოზივით დახატული და გონების ალმაფრთოვანებელი გოგონა სიყვარულის მდუღარებას მიკმევს. მის ზეციურ თვალების მეტყველებაში მუდამ შემდეგსა ვკითხულობ: „გაძლება ჩემი უშენოდ ვახმე რა დიდი ძნელია“*. „სიყვარულის ფასი სიყვარულია“ [2]), მაგრამ სად არი!.. „გაზაფხულის მტირალნო ღრუბელნო, მოდით და ტირილი ჩემგან ისწავლეთ“ (ვ) [3]). „მუნამდის გდევ და გევედრები, ვიდრე ჩემი სიმართლე და შენი უსამართლობა არა სცნა“ (ვ), მომიტევე-კი: „ცეცხლსა შიგან მყოფი ხორციელი წვასა ვერ ჰმალავს“ (ვ). „თუ მზესაებრცა მაღალი და ელვარე ხარ, სალამოსა ჟამსა ეგრეცა დაჰდაბლდები და ქვე ჩამოხვალ“ (ვ).

მეც-კი... მეც-კი მინდა შევსტირო: „მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები“*, „შენი სახე თვალთა შიგან დამრჩომია და სახელი ენასა“ (ვ), რადგანაც „შენა ხარ ჩემისა ბედნიერებისა ბედი და იმედი“-მეთქი, მაგრამ „ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელიო“ მაგონდება და დავთრები მეკარგება... ღვთის წინაშე, ერთი ამას კი ამოვიზუზუნებ ხოლმე ჩემთვის ჩემს დაყრუებულს ოთახში გულ-დაწყვეტილი, ნაღვლიანად:

შენა ხარ ჩემი მზე-მთვარე, ჩემი სიცოცხლე მზიანი,
შენსა მშვენებას ნატრობენ ნარგიზნი, ვარდნი, იანი;
შენ შეუქმნიხარ ზენარსა დიდ-სულოვანი, ჭკვიანი,
ციურის ცეცხლით ალსავსე, ნაზი და სიტყვა-წყლიანი.

აი ამისთვის კიდეც „ჩემსა თავსა და ტანსა ზედა ხელმწიფე ხარ და ესეთი ხელმწიფობა შენვე გშვენის და გვე-

1) თ. გ. ორბელიანი

2) შილლერი

3) რა სიტყვის ბოლოსაც ეს ასო (ვ) ეჯდება—„ვისრამ.“-დამ იქნება ამოწერილი.

ცობის ფარად წინ უყენებს და განკითხვას სამართლისაგან ელის. გაცური, ადამიანური ცხოვრებაც ამასა ჰქვიან: ამისთანა კაცთა შორის უვედლა შეკრულია ბოროტისათვის და უვედლა გზა-გახსნილია სიკეთისათვის. თავისუფლებაც ადამიანისა სხვა არა არის-რა, რომ ბოროტისათვის სრულად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზა-გახსნილი.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, როგორც შევიტყეთ, 27 ივნისს აპირებს ჩამოსვლას ტფილისში.

*** კოჯორიდამ სამწუხარო ამბავი ჩამოვიდა, ვითომც ბ-ის ჰეშჩუროვის და და შვილი დასეირნობდნენ ეტლში; ამ დროს ეტლს გასტეხკია დიშლა, ცხენები თურმე დაფრთხნენ, გაიტაცეს ეტლი და გადააბრუნეს. შიგ მსხდომნი გადმოცვივდნენ და საშინლად დაიმტვრიეს თავ-პირი. ტფილისში ხმა გავრცელდა, ვითომც ბ-ნ ჰეშჩუროვის დამ მეორე დღესვე განუტევა სული, ხოლო შვილი ბ-ნ ჰეშჩუროვისა ვერა ჰგრძნობს თავს კარგადაო.

*** რამდენმამე კაცმა ტფილისში მიიღეს ბ-ის წინამძღვრიშვილისაგან მოწვევა—მომავალ კვირისათვის მობრძანდით წინამძღვრიანთ-კარში, სადაც ჩემს სასწავლებელში ეგზამენები იქნება ამ დღესაო. სასურველია, რომ ამ მოწვევაზე ბევრი მცოდნე კაცი წასულიყოს წინამძღვრიანთ-კარში და თავისის ცოდნით დახმარება გაეწიოს ბ-ნ წინამძღვრისშვილისათვის, რომელიც მუდამ მზად არის მოისმინოს გონიერი რჩევა და მიიღოს იგი მხედველობაში გამომჯობინებისათვის თავის სკოლისა.

*** შაქრიანის ხიდი, შემაერთებელი გაღმა კახეთისა გამოღმა კახეთთან, ისე დაძველდა, რომ ეს ორი წელიწადია რაც ფეხით თუ გაივლის კაცი უფათერაკოდ, თორემ ცხენითა და ურმით სიარული შეუძლებელია. ეს ხიდი იმყოფება იმ გზაზე, რომელიც მიდის თელავიდგან ლაგოდეხში და ყვარლისაკენ და მერე ვადის ზაქათალაში. ამ სახით, ხიდის დიდი მნიშვნელობა ისე აშკარაა, რომ ლაპარაკი სრულებით მომეტებულია. ხიდის უვარგისობა დიდად აძნელებს მისვლა-მოსვლას, რომელიც აქ ყოველთვის გაცხარებულია და ბევრი ზარალიც მოაქვს მგზავრთა და მკვიდრთათვის.

ამიტომ არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ის განზრახვა, რომელიც მოჰსვლიათ თავში ამ ბოლოს დროს. თურმე უნდათ შაქრიანის ხის ხიდის მაგიერ გააკეთონ მაგარი და მკვიდრი რკინის ხიდი. სანატრელია, რომ ეს განზრახვა, რაც შეიძლება, მალე მოვიდეს სისრულეში და გამოიყვანოს კახეთის ხალხი ამ მძიმე გაჭირებიდამ.

*** კახეთიდამ გვწერენ, რომ მომრიგებელი-შუამავალი თ. ვეზირაშვილი ძრიელა ცდილობს სასოფლო სკოლების გამრავლებას. სხვათა შორის, ს. იყალთოს მცხოვრებელთ შეადგენინა განაჩენი სკოლის გასამართავად. თუ აქამომდე განაჩენი საქმედ ვერ გადააქციეს, მიზეზი ამისი არის სოფლის მცხოვრებთა სიღატაკე—სულ ორასი კომლია და კომლზე მანათს ჩამოდის გლეხი. ორას მანათად ვერ გაიმართება რიგიანად მოწყობილი სკოლა და ვერც კარგს მასწავლებელს იშოვნიან. ეხლა კი ამ საქმის ბედი თურმე უკეთესობისაკენ გამობრუნებულა. როგორც შევიტყეთ, იყალთოელ თავადებს მაყაშვილებს განუზრახავთ ხელის შეწყობა თავის სოფლელებისათვის: აპირობენ სასკოლო ადგილი დაუთმონ სოფელს, თავიანთ ტყეებიდამ მისცენ მასალა და, ერთის სიტყვით, ყოველისფერში დაეხმარნენ გლეხებს ამ ფრიად მოსაწონ საქმეში. იმედია, რომ ბ-ნი ვეზირაშვილი იხმარს თვის ზედ-მოქმედებას და აჩქარებინებს ამ საქმის ბედნიერად დაგვირგვინებას.

** იქიდამვე იწერებიან: რადგანაც შარშანდელი ღვინო ვერ გამოდგა კარგი, ამის გამო არც მუშტარი ჰყავნდათ კახელებს. ბევრმა ნახევარიც ვერ გაყიდა და, ვინც გაყიდა, ნახევარ ფასიც ვერ აიღო. ამის გამო, რასაკვირველია, კახეთში კვალინდელობაზე გაცილებით ნაკლები ფული დატრიალდა. ეს უფულობა წელს მუშაობაში ძალიან ხელს უშლის კახელებსა. ზოგს ისე გაუჭირდა უფულობით საქმე, რომ წლევანდელ მოსავლის მომკა-მოტანაც ვერ მოუხერხებია. ზოგი-კი თითქმის ჩალის ფასად ურიგდება ფულიან კაცებს—ოღონდ გამიმართე ეხლა ხელი და შემოდგომაზე კიდი გინდა ათ შაურად მიიღეო.

*** დროებით ბათუმში მცხოვრებელი კორრესპონდენტი იმდურება: ბათუმში ორი დასია სამხედრო მუსიკისა და ზოგჯერ დანიშნულს დღეს არც ერთი დასი უკრავს და არც მეორე, ხშირად იმის გამო, რომ სადმე კერძო წვეულობაზე არიან ხოლმე მიპატიჟებულნი. ამ გვარად ერთად-ერთს წყაროს იაფ სიამოვნებისას უნდა მოაკლდეს ხოლმე ღარიბი ხალხი ბათუმისა. გარდა ამისა, ბათუმელები თურმე ვერც თავის ქუჩების სისუფთავით მოიწონებენ თავსა—ბაყლები და წვრილი ვაჭრები ნაგავსა თუ დამპალს ხილსა ჰყრიან ქუჩებში, ეს ხილი იღრწნება, ყარს და იზიდავს მრავალ მწერებს, რომელნიც თავ-პირს აჭმევენ გამვლელ-გამომვლელთ. კორრესპონდენტი ურჩევს, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციონ ამ უსიამოვნო საქმესა.

კორრესპონდენტი ათავებს თავის წერილს იმ ამბით, რომ ბათუმში თითქმის ყოველ დღე იმართება სხვა-და-სხვა წარმოდგენები, რომელნიც ბლომად იზიდავენ ბათუმელ საზოგადოებას. შემოსავალი თურმე კარგა ბლომადა გროვდება, მაგრამ ძნელი ის არის, რომ ეს შემოსავალი მხოლოდ გამმართველების ჯიბეში ჩადის. ურიგო არ იქნებოდაო, სამართლიანად უმატებს კორრესპონდენტი, რომ ეს წარმოდგენები საზოგადო დაწესებულებათა სასარგებლოდაც გამართონ ხოლმეო.

*** გაზეთ „ტფილ. ფურცელში“ ვრცლად არის აღწერილი მდგომარეობა იმ 22 ხარატისა, რომელნიც დაითხოვეს ამას წინად რკინის-გზის ქარხნიდამ ტფილისში. თურმე მომეტებულ ნაწილად ეს მუშები ცოლშვილის პატრონნი ყოფილან და დღეს ულუკმო-პუროდ დაიარებიან ქუჩა-ქუჩა სამუშაოს საშოვნელად, მაგრამ ვერა უშოვნიათ-რა. გაზეთის აზრით, რკინის-გზის გამგეობას უნდა ეზრუნა რამ ამოდენა ხალხისათვის, რომელიც რვა-ცხრა წელიწადი ერთგულად ემსახურებოდა გზის საჭიროებას და ეხლა, უბედურ შემთხვევისა გამო, ქუჩაში გამოგდებულ შეიქმნაო.

*** გაზ. „ახ. მიმოხილვას“ სწერენ: კავკავის გზაზე პოვოსკით მიდიოდა დავით ყარჩული, ზუგდიდის მაზრის სოფ. ცალენჯის მცხოვრებელი. მცხეთის სტანციის მახლობლად მივარდა ცოფიანი მგელი და დაჰგლიჯა კვიცი, პოლსკის ახლო მიმავალი. ყარჩაულმა მარჯვედ ამოიღო თურმე რევოლვერი, დასცა ჯერ მგელს, მერე კვიცსა და ორთავეს იქვე სული გააყრევინა.

*** იმავე გაზეთში ვკითხულობთ: ამ დღეებში მტკვარში ბანაობდა 13 წლის ყმაწვილი, დავით გერმანი, რომელსაც წყალმა წაღება დაუწყო და ის იყო უნდა დაირჩო. ამას თვალი მოჰკრა ბაკუნოვმა, მკურავმა წყალში დაირჩობისაგან დამფარველ საზოგადოებისამ, გადავარდა მტკვარში თავის იარაღებით და დაიხსნა ყმაწვილი საცოდაობისაგან. ამ გვარ მამაცობისათვის ბაკუნოვი მენდალზე წარუდგენიათო, ამბობს გაზეთი

*** „Новое Время“-ში სწერია. ხარკოვის პოლიტეხნიკურს სასწავლებელში შემოდგომაზე მიიღებენ მხოლოდ 119 სტუდენტს. უპირატესობა მისაღებ ეგზამენებზე ექნებათ მაღალ სასწავლებლებში სწავლა-გათავებულებს. უფრო დიდი ყურადღება იქნება ეგზამენებში მიქცეული მათემატიკასა, ფიზიკასა და რუსულს ენაზე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ფრონის ხეობა (ქართლი), 20 ივნისს. ხშირად მეტად დიდი საჭიროება და მწვავე ტკივილი რომელისამე თემისა და მაზრისა სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული. ამის მიზეზი უფრო ის არის, რომ არავინ არის პატრონი გააგებინოს და შეატყობინოს მთავრობას გაჭირებული მდგომარეობა ამა თუ იმ თემისა, რომ შემდეგ მთავრობა მიეშველოს თემს, მაზრას და წამალი მოუძებნოს ტკივილს. ასეთს ყოფაშია, მაგალითად, ქართლის ერ-

---

რობს“ (ვ), „თვალნი თვით შენისა ნახვისათვის მინდა, ენა შენისა მოუბრობისათვის, ყურნი შენთა სიტყვათა სმენისათვის“ (ვ) და ხელნი შენისა სამსახურისათვის, მაგრამ... მაგრამ... ეჰ! წყეულო დაბრკოლებავ, რამდენი მაგრამები უნდა მოგითმინო, ღმერთი აღარ არის შენში!.. ოოო, სულ-მოკლე გამსჯელობავ ჩემო! არა, სატრფოვ, ჩემო ანგელოზო, არა, უშენოთა „ნუ ცოცხალვარ ნურცა გარე, ნურცა შინა“ *.

მე სხვა სიმდიდრე რათ მინდა? მე შენი გულიც მეყოფის,
მის ფასი კიდე საუნჯე ცას ქვეშეთს განა იმყოფის [4])?

ნეტავი თქვენც მირჩევდეთ რასმე ამაზე, ბიძია, რადგანაც ვიცი, რომ „თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია“ *. ბევრჯელ უნახავ დედაჩემს ოცნების მდულარებისაგან მიბნედილი სატრფო ჩემი ანგელოზი, მშვენიერის მაისის დილის ნიავ-წყლულით დაფენქილ ყვავილებთან მინაზებულად მისვენებული და უთქვამს ჩემთვის: „გიხაროდეს, შვილო, გიხაროდეს, რამეთუ შენ გაგაბედნიეროს სატრფომან შენმან გაიავარდებულმან“ *, ხოლო ვიდრემდის სიბრძნის კბილები-კი არ მოგივა, კრინტიც არ დასძრა მის შერთვაზეო“. ღმერთო ჩემო, მოდი შენ და ახლა სიბრძნესიაჯამის კბილების ლოდინში გაიწყალე გული. ვუი, თქვენ კბილებო, რომ თქვენც-კი კაცს ბედს აწყევლინებთ. ოო, ბარემ მოკვდი გულო, შე დამწვარო და დადაგულო!

არა, არა, „საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად“ *). ნუ თუ იმ თვალებს, ნაღვლით მიმქრალებს, არ შეიბრალებ, რომ შემოგტირის:

ნეტა რა ჰქმნას უშენომან
გულმან შენგან დალახვრულმან.
გულო, ერთხელ რით ვერ დაგწვა
ცეცხლმა ასჯერ აგზნებულმან *.

არა, ჩემი შემბრალებელი მეც უნდა შეეიბრალო: „თავსა და სულსა ჩემს მისსა ჰირსა ვანაცვალებ, თვალთა სინათლე და გულისა ჩემისა სიხარული იგია“ (ვ). „კაცი მაშინ ჰგრძნობს მხოლოდ სიცოცხლეს, როცა ისრულებს—რაც ენატრება“ [5]). „შენთვის ლახვარით დაჭრილსა, გულსა ცრემლითა ჰბანდეო“ [6]).

ოჰ, ღმერთო, ეხლა-კი სევდა-მორეულს თვალთ მიბნელდება, ენა მიდუნდება, კალამი ხელში მიშეშდება, გონება მისუსტდება და აღარ ვიცი, რა ვთქვა...

იქნება ძალოა ჩემმა იკითხოს: რატომ ერთი იმას-კი არ იწერება, როგორ ცხოვრობსო. ეჰ, მადლობა ღმერთს!

სადაც მივსულვარ, ძალ-ღონე ვისთვისაც შემილევია,
იმისგან სავსე ფიალი ნაღველი დამილევია! [7])

ჯერ იმათაც-კი თვალებში ვეჩოთირები, ვისაც მე თვალები ავუხილე და მზის ნათელი დავანახვე. ეჰ, მოდი რას იზამ, როდესაც „კარგისათვის კარგი არავის უქნია“ [8]). მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, ჩემთვის სულ ერთია: სიცოცხლე სიზმარია და სიზმარში ნანახი ნეტარებაც შემირცხვეს და მწუხარებაც.

დე, დეე მომიძულონ, ბიძაჩემო, რადგანაც მე მუტრუკიც არა მყავს, თორემ მზა-შექმაზულს მერანს ვინლა მომაქცევებს, რომ სიმართლის თქმის უმალვე მოვაფრინდე და გადავიქაჯო. მაგრამ... ეჰ, ესაც უბრალოა: „სადაც უნდა იყო, მოგწვდებიან... აგილებენ ყბად და კევივით დაგღეჭავენ“ [9]). დეე, რაც უნდა ქნან, ავს კეთილი სძულს და კეთილს ავი, ვაი რომ ჭკუისაგან არიან ისინი მოძულებულნი, თორემ მე იმათ ყურსაც არ ვათხოვებდი, ან-კი რა საჭირო იყო, როდესაც თვით მაცხოვარმა გვიბრძანა: „იყავით უკვე მეცნიერ, ვითარცა გველნი, და უმანკონი, ვითარცა ტრედნი“, „და იყვნეთ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვისო“.

სხვა კიდევ ბევრი რაღაც-რაღაცები მქონდა მოსაწერი, ჩემო ბიძია, მარამ საძაგელის ხასიათის პატრონი ვარ და აი ამაზე მეფიქრებოდა კიდეც. სახელდობრ: ჯერ ხმასაც ვერ ამოვაღებინებ ჩემს უჩუმარს ენას და თუ ერთი წაიგძელა აღვირი, მაშინ-კი დავა აღარა მაქვს: ამოუშვებს ერთი სხვა ჯურაზე ჩაქჩაქს, მერე ამ ჩაქჩაქს ჰენებაც ზედ მოჰყვება, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, და ალლაჰმა-ლა უწყის, სად ამოჰყოფს თავს... აკი ჯაგლაგმა ცხენმაც ასე იცის: ჯერ კეტი რომ სცემოთ, ვერ გაათხებთ და თუ ერთი გაჰქნდა, მაშინ კი მშვიდობით ცოლო და შვილო, ტყუილად-ღა ეცდებით თქვენ იმას თავი შეუკავოთ, მინამ დოღს არ მოიკლავს; უბედურება-კი ეს არის, რომ მაშინ იმ ელვად ნაქცევ ჯაგლაგს როდი-ღა ესმის, რო კლდესა და ღრეს მაინც დაევერიდო და ფუყი ვერხვივით შიგ არ ჩავილეწოვო.

ასე და ამ გვარად, ჩვენის ბატონ გ. უმწიფარიძისა არ იყოს, აი დედასაც გუდაში საგძალი ჩაუწყვია ჩემთვის და რას მეუბნება: „კმარა, ჩემო გულისა და სულის შვილიკო, კმარა მაგდენი ჯღაბნა, საწყალი სახლი და კარი გაქვს, ცხოვრება გინდა, ბიძია არსაით გაგექცევა, მერეც უგულისპასუხებ. აგერ მზე რა სანატრელად ამოდის, შვილო, ჩვენის ედემის მთებიდამ და რა საამურად ანარგიზევრებს სამოთხის მცენარეებით მინაზებულს მთა-ბარს და ჩვენს საწყალს ფანჯარებს. აგერა კიდევ ველის ყვავილების სურნელებით სულ-ჩადგმული ნელი ნიავი რა დანიქებით აშრიალებს ყვავილსხივებით გალალანებულ ბუჩქნარებს. აგერა კიდევ სიცოცხლიან სიხარულით სავსე ფრინველების ჟივილ-ხივილი მკვდარსაც აცოცხლებენ სამარეში, მწუხარეს ანუგეშებენ და შრომის შვილებს ატკბობენ და ახალისებენ. მაგრამ, მოგიკვდეს დედა, შენ-კი რაღაცა სევდის ღრუბელი გადაგწოლია მაგ დახატულ სახეზე, ფიქრის ზღვას შთაუნთქავს შენი გონება და წუთი-სოფლის სიხარული ახლოც აღარ გეკარება, თითქოს შენ-კი ადამიანებში არ ერიო.

„აბა, შე გასახარელო, რა გინდა, რისთვის იწყალებ მა თვალებს, რისთვის ათევებ თეთრად ღამეებს, რისთვის იმწარებ წუთი-სოფელს, რადა ხარ ცრუი, რა დაგიკარგავ, რას ეძებ?.. მე ვთქვი: ღმერთმა მიშველა. დავაქკაცდება და დაჭკვიანდება-მეთქი, მაგრამ თავად რა იყავ და ეხლა უფრო ჰცერცეტდები: სულ რაღაცაებს ჰჯღაბნი, ღამითაც-კი ძილი არ გეკიდება და თუ ერთი კურდღელივით თვალს მოატყუებ, მაშინაც-კი ჩვენი ივანე რუსივით რაღაცაებსა ჰბოდავ, მიჰქარავ, ჰრისხდები, ჰბობოქრობ და არ ვიცი-კი ვის ემუქრები და ეპამპლაუშები... ღმერთო, რატო ერთი შენი მამა-პაპისა მაინც არა გამოგყვარა, რომ ისინი იგრე დინჯად სცხოვრობდნენ და დინჯად დაიხოცნენ...

„კიდევ არ ეხსნები მა წრიპინა-კალამს? ადე, სულიკო, ადე, ქალალდიჩხაპია, ადე, კარგი, ადე, დედა გენაცვალოს მა ცქრიალა თვალებში, ვენახში ხარ წასასვლელი და გიგვიანდებაო“. ოღონდაც რო მეც დამგვიანებია და თქვენც თავი მოგაწყინეთ უგემურის ყბედობით. მაშ მომიტევეთ და ნახვამდის, ჩემო ბიძია, ზღვაზე გაგედვას ხიდია...

თქვენი უმორჩილესი მონა
დ. მაჩხანელი

[4]) ნ. ბარათაშვილი
[5]) აკაკი
[6]) დ. გურამიშვილი
[7]) ა. მოჩხუბარიძე
[8]) ს. სულ.-ორბელიანი
[9]) აკაკი

თი ნაწილი, გორს ზემოდამ, სოფელ ქარელის გაღმა მხრისაკენ. ცხინვალიდამ მოკიდებული ქარელამდე ეს ნაწილი ქართლისა მოკლებული იყო რიგიანს გზას. ლიახვის მარცხენა მხარეზედ კარგი გზა-ტკეცილია გაყვანილი ცხინვალიდამ გორამდე. მარჯვენა მხარეზედ-კი, რომელიც უფრო ხშირად არის დასახლებული, შარშანწინამდე გზა არ იყო. ხალხი იოლად მიდიოდა უვარგისის სასოფლო გზით, რომელზედაც ურმების სიარულიც-კი გაძნელებული იყო. მხოლოდ შარშანწინ უწინდელის გუბერნატორის მეცადინეობით გაიმართა გზა-ტკეცილი ცხინვალიდამ სოფ. საღოლაშნამდე, რომელიც ქარელის ახლო მდებარეობს. ეს მშვენიერი გზა თვით ხალხმა გააკეთა თავის ხარჯითა და ღონით, გააკეთა ისეთს დროს, როცა გლეხ-კაცი დიდს გაჭირებაშია და ათასი სხვა საქმე აქვს მინდორში გასაკეთებელი. ეს იყო ზაფხულში, გაცხარებულ მუშაობის დროს. ოცობით და ორმოცობით გამოდიოდა ურმებით ხალხი თითოეულ საზოგადოებიდამ და მუშაობდა გზა-ტკეცილის გასაკეთებლად. გაიარა ხანმა. ხალხმა დაივიწყა ის ჭირი, რომელიც ამ გზის კეთების დროს გამოიარა სისხლის პურის-ჭამის დროს და დღეს დიდად მოხარულია, რომ საქონელი აღარ უწყდება უვარგისს, ოღრო-ჩოღროიან გზაზე სიარულითა, ურემი არ უტყდება რუებისა და კვლების გამო, რომელიც აუარებელი იყო ამ გზაზე, რადგან აქედ თითქმის ყველა მამულები სარწყავია და ძველადგანვე ლიახვიდამ გამოყვანილი არხები და რუები უხვად რწყამენ ამ ქართლისა და სრულიად საქართველოს შუა-გულს ქვეყანას თითქმის ოცისა და ოც-დაათის ვერსის მანძილზე სიგრძე-სიგანით.

მაგრამ სამწუხარო და გაუგებარი ის არის, რომ ეს გზა-ტკეცილი მთავრობამ არ დაამთავრა. ცხინვალიდამ მხოლოდ საღოლაშენ-არადეთამდე მოიყვანა, აქ შეუერთა ძველს გზა-ტკეცილს, რომელიც ტფილისიდამ ქუთაისისაკენ მიდის და აქ გააჩერეს ეს ყოვლად სასარგებლო გზა. სამწუხაროა იმიტომ-რომ ამ გზას მეტი მნიშვნელობა მაშინ ექმნება, მეტს სარგებლობას მაშინ მისცემს ხალხსა, როცა ქარელის რკინი-გზის სადგურამდე იქმნება მიყვანილი. ხალხს მიაქვს ცხინვალის გზით თავისი ჭირნახული: პური, ქერი, სიმინდი და სხვა გვარი ნაწარმოები და ნაშრომი რკინი-გზის სადგურისაკენ, მივა საღოლაშნამდე და აი სწორედ როცა ოთხი თუ ხუთი ვერსი-ღა დარჩენია რკინის-გზის სადგურამდე, უნდა გაუყენოს დაღალული ხარ-კამეჩი ოღრო-ჩოღროიან, რუებით და კვლებით გადაჭრილს სასოფლო უვარგისსა და პირვანდელს გზას, ამოსწყვიტოს საქონელიცა და იწუხოს დასაპალნებულის ურმისათვისაც, რომელიც წამ-და-უწუმ ჰლამის გატეხასა და სადმე ხრამში გადავარდნას. თუ-კი მოხერხდა გაკეთება გზისა ცხინვალიდამ თითქმის 15—16 ვერსზე, ნუ თუ გაძნელდა 4 ვერსზედაც გაეკეთებინათ გზა თვით ქარელის რკინის-გზის სადგურამდე? როცა შარშან-წინ წინანდელი გუბერნატორი მოვიდა აქ და დაათვალიერა ახლად გაკეთებული გზა, შენიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა ეს გზა ქარელამდე იყოს გაყვანილი და დაჰპირდა კიდეც ადგილობრივ მემამულეთა და ხალხს, რომ მაგ საქმესაც ყურადღებას მიაქცევო. მაგრამ დღემდე ამ საქმეს არა ეშველა-რა. დღეს გუბერნატორი გამოიცვალა და საქმე ისევ ისეა, როგორც აქამდე იყო. საჭიროა და დიდად საჭიროც, რომ ეხლანდელმა გუბერნატორმა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და სამადლო და სასარგებლო საქმეს გზის გაყვანისას ცხინვალიდამ ქარელამდე დასასრული მისცეს. 4 ვერსის მანძილზე გზის გაყვანა სრულიად არ გაუჭირდებათ ახლო-მახლო სოფლებს, რომელთა რიცხვი, სულ ცოტა, შვიდი-რვა იქნება.

მივაქცევთ სამაზრო მთავრობის ყურადღებას ერთს გარემოებაზედაც: სკრის ხიდი, რომელიც უალაგო-ალაგას იყო გაკეთებული, დაძველებულია და საცაა სრულიად დაიქცევა. საჭიროა ეს ხიდი 7—8 ვერსზე ზევით იქმნას გადატანილი და გაიდოს ქარელსა და ბებნისს შუა. მაშინ საჭირო იქნება სკრიდამ ქარელამდე ამ შვიდის ვერსის მანძილზეც გაკეთდეს გზა-ტკეცილი. თუ ასე მოხერხდა, მაშინ ქარელის რკინის გზის სადგური შეუერთდება დ. ცხინვალს, რომელსაც საკმაოდ დიდი სავაჭრო მნიშვნელობა აქვს ლიახვის ხეობისა, ფრონის ხეობისას და ოსეთის ერთის ნაწილისათვის. მაშინ მთელს დიდს მაზრას, მდიდარს პურით, ქერით, სიმინდით, მშვენიერის საზამთრო ხილით (ჯავის ხეობა), ადვილად შეეძლება მიიტანოს ქარელის რკინის გზის სადგურამდე თავის ნაწარმოები და იქიდამ წაიღოს დიდ ბაზრებისაკენ: ბათუმსა, ფოთსა და ტფილისისაკენ. დღეს ქარელსა და და ბებნისს შუა მუშაობს ბორანი, მაგრამ დიდ-წყლობას ბორანი მუდამ ფუჩდება და ზამთრობით კიდევ ველარ მოქმედობს ყინულების გამო. როგორც გზის გაკეთება საღოლაშნიდამ ქარელამდე და ქარელიდამ სოფ. სკრამდე სულ 11 ვერსის მანძილზე ძნელი არ არის სოფლებისათვის, ისე სკრის ხიდის გადმოტანა და გაკეთება ქარელის პირ-და-პირ არ გაუძნელდება მთავრობას, მით უმეტესს, რომ ქარელის მემამულენი თთ. ციციშვილნი და სხვანი ახლო-მახლო მემამულენიც არასფერს არ დაჰზოგავენ, რომ გაუადვილონ მთავრობას ეს საქმე. როგორც გავიგონეთ, თთ. ციციშვილები მზად არიან ყოველი საჭირო ხე-ტყე მუქთად დაუთმონ მთავრობას ხიდის გაკეთებისათვის მტკვარზე თავიანთ სოფელ ქარელს ახლო. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დანარჩენი ახლო-მახლო მემამულენიც, როგორც მაგალითად თ. ამირეჯიბი, კალატოზიშვილნი, დიასამიძე, მამაცაშვილნი და აველიშვილნი, შეძლებისადა გვარად, დაეხმარებიან მთავრობას, რომ ასეთი საქმე ადვილად შეასრულოს.

ამ სახით, თუ შესრულდა სურვილი ფრონისა და ლიახვის ხეობისა და თუ გაკეთდა ხიდი მტკვარზე ქარელთან და დაუკავშირდა ცხინვალი ქარელს, ეს ნაწილი ქართლისა დიდად გაცხოველდება: აღებ-მიცემა გაძლიერდება, ქირავნობა იმატებს, ფული დატრიალდება და ხალხი დააღწევს თავს იმ მიყრუებულს ცხოვრებას, იმ ძილსა და თვლემას, იმ მეტს-მეტს დიდს უფულობას, რომელიც ამ ჟამად ძრიელ აწუხებს ამ დიდს და ნაყოფიერს ნაწილს დედა-ქართლისას.

გრ. ფრონელი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

თან-და-თან უფრო დიდს ადგილს იჭერს ცხოვრებაში ის მოძღვრება, რომ სახელმწიფო მოვალეა მიეშველოს გაჭირებულთ მწარმოებელთ და თავის დახმარებით გაუადვილოს გამუდმებული ბრძოლა არსებობისათვის ბუნებასთანა და საზოგადოებრივ ცხოვრების მავნებელ ვითარებასთან.

ერთი დიდი გაჭირება სოფლის ხალხისა და მხვნელ-მთესველისაო, ამბობს გაზეთი „Русск. Вѣдомости" ის არის, რომ ამ ხალხს ფული ეჭირება თავის საქმეების წარმოებისათვის და ვერსად ვერ უშოვნია სესხად იაფის სარგებლითა. უწინ მთავრობამ თავად დაარსა გრაფ კისელიოვის მოთავეობით დამხმარებელი და დამზოგველი ბანკები სოფლებისათვის და ამ ბანკებს თვით მთავრობის მოხელენი განაგებდნენ. შემდეგ ამ გვარს ბანკებს თავი მიანებეს და დაიწყეს სხვა გვარის სასოფლო ბანკების დაწესება. ამ ბანკების დაარსება გერმანიიდამ შემოვიდა რუსეთში. არც ზედამხედველობა, არც დახმარება ამ ბანკების წარმოებაში მთავრობამ აღარ იკისრა. ამის გამო ეს ბანკები ნელნელა დაიკეტნენ და დღეს მხოლოდ ალაგ-ალაგ-ღა თუ შეჰხვდებით.

ამ სახითაო, ამბობს გაზეთი, დიდ-ძალი მხვნელ-მთესველი ხალხი, თუ ფული უჭირს, იძულებულია მიჰმართოს ვაჭრებსა და კერძო ფულიან კაცებს, ამის გამო სოფელი არ არის, რომ დიდ-ძალი ვალი არ ემართოს კერძო კაცებისაო.

ცხადიაო, განაგრძობს გაზეთი,—რომ იაფად შოვნა და სესხება ფულისა დიდს წარმატებას მისცემს სასოფლო მეურნეობას. დიდნი მემამულენიც-კი იძულებულნი არიან მიჰმართონ სახელმწიფოს და მისგან მოითხოვონ ფული სესხად იაფის სარგებლით. მართლაც, დიდ მემამულეთათვის არის დაწესებული სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკები, რომელნიც დიდის ხნის ვადით აძლევენ მემამულეთ სესხად ფულსა; დაწესებულია აგრეთვე, რომ სახელმწიფო ბანკმა აძლიონ მემამულეთა ფული სოლო-ვექსილებითა; მემამულეთ შეუძლიანთ კიდევ თავის საქონელი დააგირავონ და მოკლეს ვადით ისესხონ ფული შესაბამის საკრედიტო დაწესებულებიდამ. ხოლო თუ ასე უჭირთ სესხი დიდ მემამულეთა, რომელთაც ასჯერ მეტი შეძლება აქვთ, ვიდრე წვრილ-წვრილ მამულის პატრონთ, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ეს უკანასკნელნი, მოკლებულნი ყოველ ამ გვარს დახმარებასა და შემწეობასა.

გაზეთი ამბობს, რომ საჭიროა შევისწავლოთ მდგომარეობა გლეხკაცობისა, გამოვიკვლიოთ, სად რამდენი ვალი აძევს ხალხს, თუ სახელმწიფო, თუ კერძო ფულის პატრონებისა, და დავაარსოთ ისეთი დაწესებულებანი, საიდამაც ადვილად შეეძლოს სესხად შოვნა ფულისა იაფის სარგებლითა და დიდის ხნის ვადითაო.

ასეთი შესწავლა და გამოკვლევა ხალხის ცხოვრებისა უკვე დაიწყო და იმედია ნელ-ნელა საქმეს მოევლება რამეო.

**

თ. მეშჩერსკი ცოტა უქეიფოდ გამხდარა. უთუოდ ეს არის მიზეზი, რომ იმის გაზეთზე ამდენი ხანია აღარა ისმის-რა. ახლა ისევ გამობრუნებულა «Гражданинъ»-ის რედაქტორი და შემდეგს ამბავს მოგვითხრობს:

ამას წინად მე ვიყავ ერთის ქალის სალონშიო, ამბობს თავადი: ვიჯექ ჩემთვის რბილს სავარძელში და აი რა ლაპარაკი შემომესმა.

ერთი ქალი ეკითხება მეორეს:

— ქალო, რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ?

— არა, ავად არა ვარ. განა რა იყო?

— მგონია ყელი გტკივა.

— დიაღ, დავხრინწიანდი. ამ ხრინწს მამულის-მოყვარეობის ხრინწი უნდა დაერქვას: წარმოიდგინე, იმდენი ვიყვირე პასპორტების ბაჟის მომატების წინააღმდეგ, რომ დღესაც-კი აღარ მომირჩა ყელი.

— ახლა ჩემი უნდა იკითხოთ... ღმერთო, რამდენი ვიყვირე. ცეცხლი მეკიდებოდა ჯავრისაგან და გაალმასებულივით დავდიოდი. ისე დავსუსტდი მერე, რომ გალენირის გაპლები უნდა მესვა. ყელი ხომ ისე ამტკივდა, რომ ყოველ-დღე გოგლი-მოგლის გიახლებოდი.

მკითხველმა თითონ გარდასწყვიტოს, რამდენად მახვილი და მოსწრებული ლაპარაკია მესჩერსკისაგან მოსმენილი ლაპარაკი ორის ქალისა მაღალ-საზოგადოების სალონში.

# რუსეთი

— ვიატკის გუბერნიაში არლოვის მაზრის ერობას უთხოვნია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსათვის, რომ მაზრის სხვა-და-სხვა ადგილებში ხუთი ტანი მიწა მიეცეთ, ზომით თითო ტანი 20-დამ 50 დესეტინამდე; ამ მიწებს შეისყიდიან იმავე წესით, რა წესითაც სახელმწიფო გლეხნი ყიდულობენ ხოლმეო. ეს მიწები სასოფლო სკოლებისათვის იქნება და სამაგალითო მეურნეობა უნდა გამართონ, სადაც შეიძლებოდეს გლეხმა ისწავლოს საუკეთესო წესნი მამულის შემუშავებისა. ამ თხოვნაზე უპასუხნია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, რომ საზოგადოდ ეს საგანი დიდი ხანია განხილვაშია და მალეც გადაწყდება მთელის რუსეთისათვისაო.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო კომისიას შეუმუშავებია კერძო წესდებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეეშველნენ იმ მემამულეთ, რომელთაც უნდათ თავიანთ მამულებში ჭაობები გააშრონ. ამ შემთხვევაში ყველა მემამულემ უნდა გამოიანგარიშოს საჭირო ხარჯი და ამ ხარჯის ფული მამულის გირაოში მიეცემა ფინანსთა სამინისტროსაგან იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალი ექნება გაშრობილს ადგილებსა. ეს ახალი წესდება დაიწყებს მოქმედებას ამ ზაფხულიდამვე რიაზანისა და სმოლენსკის გუბერნიებში.

— ებრაელნი ძრიელ ერიდებიან სამხედრო ბეგრის გადახდას და ამის გამო მთავრობამ რამდენიმე ახალი საშუალებანი შეიმუშავა, რომელნიც მათ ძრიელ ავიწროვებს. ამ უკანასკნელ დროში შევიწროვების აუცილებლად ებრაელნი, რომელნიც დასავლეთის სამზღვარს ახლო სცხოვრობენ, ამერიკისაკენ მიდიან დასასახლებლად და თავიანთს სამშობლო ქვეყნებს თავს ანებებენ.

— რუსეთის გაზეთების სიტყვით, ამ მოკლე ხანში პეტერბურგში მოელიან პარიჟელ როტშილდსა, რომელსაც სწადიან შეადგინოს რუსეთში ბანკირთა წრე რუსეთის ფინანსთა სამინისტროს ფასიან ქაღალდების გასასაღებლადაო.

# უცხოეთი

ირლანდია. ირლანდია მალიან აღელვა ახალმა კანონ-პროექტმა, რომელიც ინგლისის ქვედა-პარლამენტმა მიიღო ირლანდიის შესახებ. ამ კანონ-პროექტის ძალით ირლანდია მოკლებული უნდა იქმნას ზოგიერთა კონსტიტუციით მონიჭებულ უფლებათა, მისი ბედი უნდა ხელთ ჩაუვარდეს სახელმწიფო მოხელეთა, რომლებიც როგორც უნდა მოიქცნენ, პასუხის-გებაში არ იქნებიან ხალხისა და საზოგადოების წინაშე. ადვილად წარმოსადგენია, რომ ამ გვარი კანონ-პროექტი უკმაყოფილებასა და წინააღმდეგობას გამოიწვევდა იმათში, ვისთვისაც სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისა და ბედნიერებისათვის მოღვაწეობა შეადგენს უმთავრესს საგანს ცხოვრებისას. ამ შემთხვევაში ირლანდიის კათოლიკე სამღვდელოებამ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ იგი ქვეყნის ინტერესების დამცველი და მოსარჩლეა. მეინუტში მოხდა სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება და ამ კრებაზე ნათლად გამოისახა, თუ როგორ თავ-გამოდებულია სამღვდელოება ირლანდიის საქმისათვის. ამ გარემოებაზე სამღვდელო წარმომადგენელთა საქვეყნოდ აღიარეს, რომ ისინი მალიან ხელყვებია ახალს კანონ-პროექტს, რომელსაც საგნად აქვს შეამციროს ირლანდიის უფლებანი. „ეხლანდელის მმართებლობის განკარგულება შესახებ ირლანდიისა სრულიად უსაფუძვლოაო, ამბობდნენ კრებაზე: რადგანაც ირლანდია სახელმწიფოს სხვა ნაწილებზე უფრო ბოროტ-მოქმედი არ არის. ახალის კანონ-პროექტით მმართებლობა არამც თუ მოსპობს ირლანდიაში ბოროტ-მოქმედებას, არამედ კიდევ უფროც გააძლიერებს და გაავრცელებს. საჭიროა, მმართებლობამ ყურადღება მიაქციოს სამიწო მფლობელობის საქმეს და განაკარგოს ის გაწყობილება, რომელიც არსებობს მიწის მეპატრონეთა და ფერმერების შორის. ჩვენ გვინდა, რომ პარლამენტმა გააუქმოს ყველა ის დაბრკოლებანი და შევიწროებანი, რომელნიც იმას აღმოუჩენია ხალხის განათლების საქმისათვის; ჩვენ გვინდა მოგვეცეს ყველა ის უფლებანი, რომლითაც სარგებლობენ სახელმწიფოს სხვა არა კათოლიკე ქვეშევრდომნი." ყოველივე ესე უკვე აცნობეს თურმე სალისბერის, გლადსტონს და პარნელს.

გარდა ამისა შესდგა თურმე კრება ლიბერალებისა და რადიკალებისა, რომელმაც თვისი უკმაყოფილება გამოაცხადა იმავე კანონ-პროექტის შესახებ. ამ კრებაზე ილაპარაკა პარლამენტის წევრმა ჩარლზ როსელმა; მან სთქვა, რომ ირლანდია უნდა დაკმაყოფილდესო.

ოსმალეთი. სულთანს ჯერ კიდევ ვერ გაუბედნია ხელი მოაწეროს იმ კონვენციაზე, რომლითაც ინგლისს უნდა შეეკრას ეგვიპტის შესახებ. ამ კონვენციაზე, როგორც იწერებიან, თანახმა არ არიან რუსეთი და საფრანგეთი, იმასაც იწერებოდნენ, ვითომც ოსმალეთს შეშინებოდეს რუსეთისა და ეკითხოს ინგლისისათვის, შეუძლიან თუ არა ინგლისს დაიცვას ოსმალეთი რუსეთისაგან, თუ ამ უკანასკნელმა ოსმალეთისაკენ გაიწია. პეტერბურგიდგან იწერებიან სამზღვარ-გარეთულ გაზეთს „Nord"-ში, რომ რუსეთი სრულიადაც არ ემუქრება ოსმალეთს იმ კონვენციისათვის, რომლითაც ინგლისს უნდა შეეკრასო. როგორც ამბობენ, გერმანიაც მადაზე მოუყვანია კონვენციას და ცდილობს სხვისის გაჭირვებით ისარგებლოს. ამიტომაც მას ვითომ და განეზრახოს თვისი მფარველობა დაადგინოს სირიაში, მაგრამ ბისმარკს, მის და საუბედუროდ, ავადმყოფობა უშლის ხელსა თურმე ფრთა გაშალოსო.

## გასართობი

ამას წინად პროფესორი თვალთ-მაქცი გერმანი გარდაიცვალა. ამ გერმანს ამ რამდენისამე წლის წინად შტუტგარტის თეატრში წარმოდგენა გაუმართავს და ერთი თვალთ-მაქცობა უჩვენებია, რომელიც იმაში მდგომარეობდა თურმე, რომ რომელს ნივთსაც უჩვენებდნენ, ერთის ხელის გაქნევით იმ ნივთს გააქრობდა უჩინარად აქცევდა.

— ახ, ბ-ნო პროფესოროვო, უეცრად წამოუძახნია ერთს რიგიანად ჩაცმულს კაცსა: მაგ გვარივე მანქანება მოახდინეთ ჩემს ცოლზე, რომ უჩინარად იქცეს და განქრეს თვალთა ჩემთაგანაო.

ამის თქმა და იქვე მჯდომარის მეუღლის ფეხზე წამოდგომა ერთი იყო თურმე. წამოდგა, გაშალა გმირი მკლავი და ლაწანი გაადინა თურმე თავის მეტის-მეტად პირში მთქმელსა და გულ-ღია ქმარსა. რასაკვირველია, ქმრის ნატვრა ასრულებულა, რადგან ცოლის მიერ დასაჩუქრებულს თვალთ დაუბნელდებოდა და ვეღარც საყვარელს მეუღლეს დაინახავდა რამდენისამე ხნით მაინც.

**

ტიურნურს მოქიშპე და მოწინააღმდეგე გამოსჩენია! საფრანგეთში ახალი მოდა შემოსულა და უეჭველია ისე გაიყოლიებს ქალებს, რომ სულ ერთიანად დაავიწყებს მრავალთაგან ყბად აღებულს ტიურნურს. ამერიკელ ქალებისაგან უსწავლიათ საფრანგეთის ქალებს ფრჩხილების დაოქროვება და დიდ-ძალი მიმდევარი ჰყავს თურმე ამ ჟამად საფრანგეთში ამ ახალს მოდას. ფრჩხილების გარაყი ოქროსი უნდა იყოს თურმე, რომ დიდხანს გასძლოს ხელზედ და ჩქარა არ ჩამოვიდესო. დიდ-ძალი ფული უჯდებათ თურმე საფრანგეთის ქალებს ფრჩხილების დავარაყება და დაოქროვება. აი, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეც ამასა ჰქვიან?...

# დეპეშა

24 ივნისი

ლიუცერნი (შვეიცარია). ქალაქი ვუღი თავის მიდამოთი გუშინ საღამოზე უცებ მიწამ ძირს ჩაიტანა და სრულებით უკვალოდ ჩაიღუპა მიწაში 17 შენობა და 30 კაცი. ასეთივე უბედურება მოელის 30 სხვა შენობასა. ტბის პირზე რაც-კი სახლებია, კერძო თუ სახელმწიფო, სულ დაუცარიელებიათ მდგმურებს და გახიზნულან.

ბერლინი. „Vossische Zeitung“-ს ლონდონიდამ დეპეშით აცნობებენ, რომ ტირნოვოში დეპეშა მიუღიათ ალექსანდრე ბატენბერგისაგან, რომელიც ხელ-მეორედ იცილებს თავიდამ ბოლგარიის ტახტზე მთავრად დანიშვნასა, რადგან მაგრე რიგად ჯანზე ვერა ვარ გარგადაო და საპოლიტიკო მიზეზებიცა მაქვსო. დეპეშა დაწერილია გადაჭრილის სიტყვის კილოთი.

25 ივნისი

სოფია. როგორცა სჩანს, ბოლგარიის სამთავრო ტახტის მთავრად უეჭველად პრინცი საქსენ კობურგისა იქმნება ამორჩეული.

ბელგრადი. რისტიჩს განუზრახავს, რომ ბელგია ისევ დაუახლოვოს ჩერნოგორიას და ამ ორთა სახელმწიფოთა შორის მეგობრული დამოკიდებულება ჩამოაგდოს საერთო სასარგებლოდ. ეს ორნი სახელმწიფონი სერბიის წინანდელის სამინისტროს მეოხებით გაუდგნენ ერთმანერთს შორსაო.

სიმლა. ავღანის მთავარ-სარდალი გოლამხაიდერი 12 ივნისს ისტადეში იმყოფებოდა და გილზაების უმთავრესი სამხედრო ძალაკი ამ ადგილზე სამხრეთითა 13 ივნისს მოვიდა ყანდარში ჭერათიდგან ორი ქვეითა ჯარის რაზმი და ერთიც კავალერიისა.

### პეტერბურგის ბირჟა, 23-ს ივნისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მიეცემო-დნენ | გამოვი-დნენ | ბოლოს-ფასი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 21 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | $178^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 28 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — › | $264^1/_2$ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | $249^1/_4$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — › | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

თიბათვე 30 დღით არის

26 დღე პარასკევი. დავით თესალონიკელისა. კათოლ. იოანნესი, პავლესი და პელაგიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულმ. მე-17 რიცხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—36. მთვარე 18 დღისაა.

27 დღე შაბათი. ღირს. გიორგი მთაწმინდელისა. კათოლ. ვლადისლავისა და ვიტალიასი. სომეხ. წმ. ტრდატ მეფისა სომეხთა, მისის მეუღლის აშხენ დედოფლისა, ხოსროვიდუხტისა. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—36. მთვარე 19 დღისაა.

28 დღე კვირა. აღმოყვანება ნაწილთა წმ. საკვ.-მოქმედ. კვიროსი, იოანესი და პავლე მკურნალისა. კათოლ. ლეონ II-ისა, ირინესი და პლუტარხისა. სომეხ. პოვნა წმ. ღვთისმშობლის სამოსლისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—36. მთვარე 20 დღისაა.

29 დღე ორშაბათი. წმ. მოციქ. პეტრესი და პავლესი. კათოლ. პეტრესი და პავლესი. სომეხ. წმ. კალისტრატესი, ლუკიანესი და 49 მოწამეთა. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—35. მთვარე 21 დღისაა.

30 დღე სამშაბათი. წმ. 12 მოციქულთა. კათოლ. ემილიასი და ლიუცინასი. სომეხ. წინასწარ-მეტყ. ზაქარიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—36, ჩადის 7—35. მთვარე 22 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | . | 3 › |
| › 2 | › | $2^1/_2$ › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 › |
| › › 2— | | $3^1/_2$ › |
| › › 3 | › | 3 › |

ჯვარის მამის პურის ღავაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ლის ხარისხისა | . . | 5 › |
| მე-2 ხარისხისა | . . | 4 › |
| მე-3 — . | . . | › › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 › |
| › 2 | › | 6 › |
| სუკი. | . . . | 13 › |
| ცხვრის ხორცი | . . . | 8 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | › › |
| › 2 | › | › › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიი ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი**. | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


## სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ, „Тифлисское Губернское Правленіе“, თავის გარდაწყვეტილების თანხმად დანიშნა თავის სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის კნეინა ნინა ყაფლანის ასულს წულუკიძისას და რომელიც იმყოფება ლორიის საპრისტაოში, ბორჩალოს მაზრაში, სახელწოდებით, თაშირ-ჯილგა. ეს მამული შეიცავს 1179 დესიატინას და 1200 ოთხ-კუთხ საჟენ მიწას. ამაში 30 დესიატინა სახნავ-სათესი და სამოსახლო ადგილებია, დანარჩენი მიწა-კი სათიბი და საბალახო. ეს მამული დაფასებულია 10,000 მანათად. ამ ფულით გადახდილ უნდა იქმნას მის გარდაცვალებულის მამის თ. ყაფლან ორბელიანის სახელმწიფო ვალი. ამ მამულის გასყიდვის ვადა დანიშნულია 2-ს ენკენისთთვეს ამა 1887-ს წლისას, დილის 11-ს საათზე, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (Переторжка) იქმნება სამის დღის შემდეგ.

ვისაც სურს ამ მამულის ყიდვა, უნდა წავიდნენ დანიშნულს საგუბერნიო სამმართველოში, საცა შეეძლებათ ნახონ დაწვრილებითი აღწერილობა ამ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახები.

(3—2)

## კერძო განცხადებანი

### სათეატრო განცხადება

ამ წლის ოქტომბრის თთვის დამლევიდამ დაიწყობა ქართული წარმოდგენები ბ-ნ ფორკატის ანტრეპრენიორობით ახალად აშენებულს ბანკის თეატრში და ამიტომ ვსთხოვთ დასში შესვლის მსურველთ როგორც ძველთა, აგრეთვე ახალთა, რომ თავის თხოვნით მოგვმართონ ამ ადრესით: ვერა, მოსკოვის ქუჩა, პავლოვის სახლებში, მე-7 №-რი.

რწმუნებული ბ-ნ ფორკატისა
(10—4) გ. აბაშიძე

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, ქუთაისში ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

## დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასა, გზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.


Дозв. цен. Тиф. 25 іюня, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე